

რედაქცია

მოდინის (აბას-აბატის) მადანზე, შორლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ძალაქს გრეზე მცხოვრებთათვის: Въ Типлнсь. Въ редакцію газеты „Дроща“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შურტი.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ცუხულს ვენებზე.

განცხადების ფასი

ღიმი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციფრითი, სტრიქონ — 5 კაპ., პეტით — 4 კაპ.

თუ საქირება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბუქდათ გამოგზავნილ სტატიებსა. ღებუქდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ფრომეტი

გამოდის კვირაში სამჯერ

ზედამხედველი კომიტეტი თჳი-ლისის აზნაურობის საადგილ-გა-გულმ ბანკისა

თჳილისის აზნაურობის საადგილ-მამულა ბანკის განმწესებელნი, რომელნიც წესდებულენის დამატების 1-ის და 2-ის მუხლებში § 1-ის 1-ს შენიშვნაში არიან მოხსენებულნი, მოწვევიან არაჩვეულ ვერტიკულ კრებისათვის, რომელიც 1875 წლის იანვრის 28 (ოც-და-რვა) გაიხსნება.

ამ სხდომებში შემდეგ საგნებზე იქნება მოლაპარაკება:

- ა) დამტკიცება იმ დაწესებუთა, ინსტრუქციათა და დასკვნათა, რომელნიც, §§ 82 და 84 ბანკის წესდებულების მუხლების ძალით, საზოგადო პრებამ უნდა განიხილოს.
 - ბ) დამფასებელი კამისიის წევრთა ამორჩევა და
 - გ) მამოცვლა და დამატება ბანკის წესდების ზოგიერთი მუხლებისა.
- საზოგადო პრებისა და ზედამხედველი კომიტეტის თავს-მჯდომარე
- თ. რევაზ ანდრონიკოვი.**
- საქმის მწარმოებელი
- გიორგი ყაზიბაში.**

საქართველო

ოქმის ბანკის ანგარიში

წასრულ ნომრის უკანასკნელ გვერდზე ჩვენი მკითხველები ოქმის სასოფლო ბანკის ათის თვის ანგარიშს ნახვენ.

ის არის პირველი, თითქმის წლიური ანგარიში ჩვენი სასოფლო ბანკისა და ამიტომ მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადღების ღირსად.

პირველი ორი თვისა და უკანასკნელი ათი თვის ანგარიშები რომ შევადაროთ ერთმანეთს, დაინახავთ, რომ ბანკის წევრების რიცხვი და ამასთან საწილო ფულის ჯამიც თან და თან და კარგათაც მატულობს: ორი თვის შემდეგ ბანკში მხოლოდ 163 წევრი იყო და ეხლა, ათი თვის შემდეგ, 288 წევრია; მაშინ წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული სულ — 994 მან. და ერთი აბაზი იყო და დღეს — 1582 მან. და სამი აბაზია.

შულის ტრილიც — გასესხება და ეალის გადახდა — ამ ზომითვე მატულობს. პირველი ორი თვის ანგარიშიდან სჩანს, რომ მაშინ 1135 მანეთი ყოფილა გასესხებული და ახლა ათს თვეში — 6710 მანეთია.

საზოგადო ანგარიშიდან ეხედავთ, რომ ბანკის გამგებლებს თავიანთ და წინდახედვით მიჰყავთ საქე.

მაგრამ ამაზე უფრო სასიამოვნო კიდევ ის გარემოებაა, რომ თვითონ

ბანკის მოწაწილებს, წევრებს ძალიან ბეჯითად უჭირავთ ბანკთან ანგარიში: არცერთს არ გადაუცილებია ვალზე აღებული სესხისა და სარგებლის შეტანა, არცერთს გლესს არ მიუყვანია იქამდინ საქმე, რომ ბანკს იმისთვის ან ჩივილი ან სხვა რამე შეეწროების მიყენება დასჭირებოდეს. და ვინ იცის, ამ დროს განმავლობაში, სხვაგან რამდენი გლესის მამული გაყიდულა ჩვენი ზოკეთე ვაჭრების წყალობით!

ის პირველი მაგალითი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ ხალხი ყოველთვის მოჰკიდებს ხელს ყოველ ახალ საქმეს, თუ კი გზის მაჩვენებელი და საქმის ამხსნელი გამოუჩნდება.

ზოგიერთებისაგან გაეგონეთ, რომ ოქმის ბანკის გამგეობა მხოლოდ ერთს კაცს აწევს კისერზეო, მხოლოდ ეს კაცი ნაგებს ყველა იმის საქმეებსაო, ეს რომ არ იყოს, ბანკიც დაიღუპებო და სხვა.

შესაძლებელია, რომ ეს მართალი იყოს. მაგრამ არც გასაკვირველი და არც სმწუხარო ამაში არა არის რა. ზეგარდამო შთაგონებით ხომ ვერ გაიგებდა ჩვენი სოფლის ხალხი ბანკის საქმეების წაყენას, იმის ოპერაციებს. დედა-მამაზე ასეა: როგორც იმ ერთ კაცს სხვისაგან უსწავლია, ისე იმისაგან ახლა სხვები ისწავლიან, შეეჩვევიან და შემდეგ მართლაც მოახერხებენ ყველა არა ერთულ სასოფლო ბანკების საქმე-

ბის გაგებასა და წაყენს. მაღლობა ღმერთს, ჩვენი ხალხი გაუგებარი არ არის...

შველა ამგვარი მოთაყის ვალია ისე წაიყვანოს საქმეები, ისეთი კაცები დაამზადოს, რომ შემდეგში იმის ხელ-მძღვანელობა ბანკისათვის სრულეებით საქირო აღარ იყოს, რომ გლესებს უმისოთაც კარგათ შეეძლოთ თავიანთი პატარა ბანკის მმართვა და გამგეობა; თორემ შარტო ერთს კაცზე რომ საქმე იქნება და მოკიდებული, იმ საქმეს, იცოდეთ, მტკიცე საფუძველი არა აქვს...

ს. მესხი

ღლიური

□ ახალ-ქალაქს გარდა, რომელიც ახალციხის უეზდს შორდება და ცალკე უეზდს შეადგენს, შეეიტყეთ, რომ თიონეთის საპრისტოდგანაც ცალკე თიონეთის უეზდის შედგენას აპირობენ.

□ მრთი ახირებული ამბავი შეეიტყეთ და არ ვიცით ჯერ, ნამვილია თუ არა. ძნელად დასაჯერებელი კაა. ამბობენ, ვითომც ყველა სოფლის მღვდლებს ფიცხელი მოწერილობა მოუვიდათო, რომ დღეს შემდეგ, ნათლობის დროს, ნურავის ნუ დაარქმევთ ისეთ სახელს, რომელიც წმინდანების სახელში არ არის მოხსენებულიო.

ამ ნიჩად, ჩვენი ქვეყნიდან ყვე-

ფელტონი

ხასიათები

სურათი მეროე

იმერელი ცბიერია. და ეს ზნე არათუ მოქმედებაში და სიტყვა-პასუხში, სიარულშიაც კი უცხადდება. მართლაც, აბა შეხედეთ იმერელს და დაუკვირდით მის სიარულს: წინ რაც უნდა სწორა გზა ედვას, მაინც იქით აქეთ მიუხეზმოუხევეს და ისე მოდის.

თუმცა იმან შორიდანვე შეგნიშნათ, მოგკრათ თვალი, მაგრამ ისე კი გიხლოვდებათ, რომ თითქოს არ დაენახოთ; მერე ერთი უეცრად შეგეფეთებათ, შეკრთება, რასაკვირველია, აქტიორულად, და ბოლოს მოხდის აღფრისანის სიტყვებით

მთის ამბავი რომ უნდოდეს სათქმელად. ჯერ ბარის ანბით დაგიწყებთ, რაც გულშიდააქვს და რაც

ჰსურს გითხრას, იმას პირ-და-პირ არ მოგახლისთ და ამას მიტომ შერება, რომ ჯერ სანამ, მანერობს, ე. ი. მისთანა საგანზედ გემუსაიფება, რომელსაც მისთვის მნიშვნელობა არა აქვს რა. აგათელიერ ჩაგათელიერებსთ, აგწონისთ, თქვენს სახეზედ და სიტყვაში წაიკითხავს თუ რა გუნებაზედ ბრძანდებით და მერე ისი თქვენის ხასიათის ანუ გუნების შესაფერად ბანგივით ნელ-ნელა შემოგაპარებსთ რაც უნდა სათქმელად.

ღარწმუნებულნი ხართ, რომ ის იმ დროს თქვენს მოტყუებას სცილობს მაგრამ ისეთ ხელოვნურად კი ასრულებს ამ თვის წინა განძრახვას, რომ თქვენ რალაც უცნაურ ძალით მოტყუებული რჩებით და არა ნაღვლობთ იმდროს თქვენ უნებურ მოტყუებას.

იმერელი პირ-და-პირ არც აქვს კაცსა და არც აგინებს. მისიცი ქება უნდა იმას აგინებს, მაგრამ იმ გინებაში ისეთი გამოანგარიშებული სი-

ტყუებია, რომ ყოველს ქებაზედ უკეთესია და ვისიცი გალანდღვა უნდა იმას აქებს, მაგრამ ისე მოუხერხებულად და სოფისტიკურად კი დაუწყებს ქებას, რომ ვაი იმ მიდგომაში!

მაგალითად, იმერელს უნდა ეინმე აქო!; პირ-და-პირ რომ ქება დაიწყოს, ჰეიქრობს ვაი თუ მიდგომათ ჩამომართვანო, და ისეთ გვარად დაიწყებს გმობას, რომ თვითონ თქვენ გამოგასარჩლებს და ისეთ ხელოვნურად კი გებასებათ, რომ გაგიტყუებს და მომეტებულს სურვილს აღძრავს თქვენში მისის ქებისას, ვისიცი ქება თვითონ ჰსურს გულით და სიტყვით კი სხვას ანბობს; ბოლოს დაგეთანხმება და თვითონ შენანებული დარჩება და თქვენ გაამაყებელი მითი, რომ სულ წინააღმდეგი დაუბტკიცეთ თქვენ მოპირდაპირეს და დაითანხმეთ.

შემდეგ იმერებთ ხან ერთთან და ხან მეორესთან ამ ამბავს და იმერელსაც ის უნდა, მისი გულის წადილი სრულდება და რა ენაღლე-

ბა. თუ შეატყო, რომ სადმე უგუნურება უფრო გამოადგება, ვინემ გონიერება, ისე გაიუგუნურებს თავს, რომ მტათ აღარ შეიძლებოდეს და გულში კი ამას ამბობს: „ამყოლს აჰყევი და დამყოლს დაჰყევიო.“

მრთის სიტყვით უანგარიშოთ არას იქმს: არც არას იტყვის, მუღამ შრომობს, მაგრამ მისი ფიქრი და შრომაც კი ყოველს შემთხვევაში მრუდება. — ბარეთ, სხვა მხარეს, ღმერთმა მოგცესთ იმერელი, ყველაფერში გამოგადგება და შინ კი იმერეთში ერიდეთ, არ გაგიტანსთ.

ის არის უკიდურესად შურიანი და ოლონდ მისა მოამე ნუ შეიძენს და თვით უკანასკნელს არ დაზოგავს დასაღუბავად. „მეც წაეხდი შენც წაეხდინე, ქრისტიანო გვიხაროდესო, ამბობს გუნებაში კმაყოფილი.

აი ამის ბრალია, რომ, თუმცა ყოველთვის მოუხევენრად შრომობს იმერელი, ცხოვრებაშიაც ზომიერია, ხერხიანიც, მაგრამ მაინც ღარიბია,



ლა „ბეჟან“, „მანტანგ“, „მანუშტი“, „მოლაჟა“, „ბახუ“, „სპირიდონ“, „ბიჭია“, და სხვა მრავალი განდევნილი იქნებოდა...

ქალაქის გამგეობაში იანვრის 8-ს სხდომაზე ახალი შტატების შედგენაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. პრებამ მხოლოდ გამგეობის სექრეტრის ჯამაგირი გადასწყვიტა—2,000 მანეთი; ქალაქის მოთავის და სამის წევრის თაობაზე გრძელი ბაასი ატყდა; ბოლოს ხმის უმეტესობით გადაწყვიტეს, რომ მოთავის 4000 მან. უნდა ჰქონდეს ქალაქისაგან წელიწადში ჯამაგირი და თითო წევრს ორ, ორი ათასი მანეთი, მხოლოდ იმას, რომელიც ხანდისხან მოთავის თანამდებობას შეასრულებს—2,500 მანეთი. მაღაწყვიტეს კია, მაგრამ პროტოკოლზე ხელი არ მოუწერიათ.

როგორც ამას წინათ იყო „დროებაში“ ნათქვამი, აქაური ტენიკური საზოგადოების სხდომაში, 8 იანვარს, ბელათის ქვა-ნახშირზე იყო ლაპარაკი. უფ. ზროდლოვსკიმ, სხვათა შორის, სთქვა, რომ შოთი-მთილისის რკინის გზაზე რამდენჯერმე გასინჯეს ბელათის ქვა-ნახშირი და აღმოჩნდა, რომ, თუ ცეცხლის ეტლების ფენებს გამოსცვლიან, მაშინ ეს ქვა-ნახშირი ივარგებს რკინის გზაზე სახმარებელათაო.

შეთაისილამ გაზეთს „პავკაში“ იწერებინან, რომ იქაურს საახნაურო სახლში წარმოდგენა ყოფილა, პრამიანცის ქალის სასარგებლოთ. უფ. სუნდუკიანცის პიესა „პეპო“ უნდა წარმოედგინათ მეორეთ, მაგრამ, რადგან ერთი უმთავრესთაგანი მოთამაშე, უფ. ლეჟავა, ავთ გამხდარა, ამის გამო მხოლოდ პირველი და მეორე მოქმედება უთამაშნათ და კიდევ რალაც ვოდევლი. ძორრესპონდენტი ვერ აქებს ამ წარმოდგენას—როგორც იყო ისეე პრამიანცის ქა-

ლის კარგმა თამაშობამ გამოისყიდა სხვების სისუსტეო...

სურამის ქედზე, რკინის გზით მატარებელს ძალიან გასჭირებია სიარული: კიდევ იწერებინან, რომ მარეულიდამ ხაშურში მომავალი ვაგონები შუა გზიდან დაბრუნდა, რადგან თოვლში ვერ გაატანესო.

ჩვენ შევიტყეთ, რომ გუშინ შაბათ საღამოს, შვირილაში ქართული წარმოდგენა უნდა ყოფილიყო. მოლიერის კამედია „სგანერელი“ უნდა ეთამაშნათ და კიდევ რალაც ვოდევლი, მგონია რუსულს ენაზე.

მრთის სიტყვით, ჩვენს დედა-ქალაქს იმერეთის სოფლები სჯობნიან ამ საქმეში...

„დროების“ კორექსონდენცია

მნი, 3 იანვრის.

როგორც ამბობენ, 1873 წელს სოფლის მამასახლისებთან იყო მახრის უფროსისაგან მიწერილი, რომ იმათ თავიანთ კანცელარიებში შეეგროვებიათ საარყე ქვაბები და თავყრილი, მთელს საზოგადოებაში რაცკი იყო, სულ იმ აქციზის ჩინოვნიკისთვის უნდა დაეხვედრებინათ, რომელსაც იმ ქვაბად აქ ელოდნენ. ბავიდა თითქმის ერთი წელიწადი და ქვაბები კანცელარიებში ეყარა, ჩინოვნიკები, ან როგორც იმათ სოფლები ეძახიან „ქვაბის ტენიები“ (ეს სახელი მისთვის დაარქვეს, ქვაბებს რომ სჭრიდნენ) კი არსად იყვნენ. ამ უკანასკნელი მიზეზით მახრის უფროსმა მეორე ბრძანება მისცა მამასახლისებს ქვაბები პატრონებს დაურთებოთ. ეს რომ გლენებმა გაიგეს იფიქრეს თუ, ღმერთი გეწყალობს, და ჩინოვნიკის მოსელამდის კიდევ ნება გვაქვს ოტკის ხდისა, მოვა ის, ქვაბებს დაგვიჭრის და ხდაც მოგვესპობაო.

ქართლებს: როდესაც იმას პირდაპირ და სწორსასვლელი გზა გადაუღობეს, მის მანც არ შეჩერებულა!..

დაანება თავი; დაადგო ძალა-უნებურად სწორი გზა, მაგრამ მაგრად მიხლართულ-მოხლართული გზები გამოჩნდა, აღარ დაერიდა არც ტალახს, არც ეკალს, არც წყალსა და არც ცეცხლს, დაიწყო ხოხვა, აქეთ-იქეთ გაძრომ-გამოძრომა; გზა მრუდეთ მიდის, მაგრამ მაინც ხომ მიდის ცხოვრების გზაზედ და თუ ისეთის გასაშტერებელის მოხერხებითა და გამჭრიახობით მიდიან დღეს ტალახიან მრუდე გზაზედ, იმედია რომ, როდესაც სწორ გზაზედ დადგომის ღონისძიება მიეცემათ, მაშინ რასაკვირველია მრუდეს დაგდებენ და დღეს რომ ხერხებს ხმარობენ, იმავე ხერხებს გამოიყენებენ კითილ-და სწორ გზისათვისაც.

მაშინ, აბა მაშინ ჩადგება იმერეთი თავის ნამდვილ კალაპოტში და გა-

ზღვებმა ქვაბები შინ წაიღეს და დაუწყეს ოტკას ხდა. წარსულს ზაფხულში მოვიდნენ ჩინოვნიკებიც, მათი განკარგულებით ქვაბები ხელახლა შეკრიბეს და პატრონიც დაიბარეს. თითოეულმა გლენმა გულ წრფელად აღვირა თავის სიმართლე: „ჩემთვის დღემდის არავის დაუშლია ოტკის გამოხდა და ქვეგამოვხადე ერთი ორიოდ ბოთლიც; არ მომიკედე იმასაც არ გამოვხდილთ, წვალეების ფასი არ იყო, ბატონო, მარა ქვედამეზარა თხლის გადაქცევა“.

ამით, რასაკვირველია, ჩინოვნიკებმა ისარგებლეს და მარტო ჩვენს რაქაში ორას ორმოცდა ათზე მეტი აქტებია შემდგარი გლენებზე, რომელთაც, როგორც ამბობენ, ორას ათას მან. მეტი ჯარიმა უნდა გარდაიხადონ ხაზინის და იმავე ჩინოვნიკების სასარგებლოთ. საქმეები ამ ფულების გარდახდევინების თაობაზე ადგილობრივ სასამართლოში არის დაწყებული, მაგრამ გარჩევა კი ჯერ არ მომხდარა.

როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, თუმც ისე გათავდა ეს საქმეები, მაშინ რაჭველი გლენები თითქმის ყველანი ღარიბები დარჩებიან.

მე ვამბობ ყველანი, მისთვის რომ, ვინც აქამდის ღარიბი გლენი იყო, არც ქვაბი ჰქონდა, არც ოტკას ხდოდა, ვინც კი ცოტა შეძლებული იყო, მოსაგებათ რომ წაიღოდა მთილისის ქალაქში, იქიდან საოტკე ქვაბი მოჰქონდა და წელიწადში ერთჯელ ან ორჯერ გამოხდიდა რამოდენიმე ბოთლს ჭაჭის ოტკას. ახლა თითოეულს ამ შეძლებულ გლენთაგანს, თუმც მარჯვეთ არ იქნა და მთავრობას თავის სიმართლე არ გაასინჯა, მოვლის 500 მან. 3000 მანეთამდის ჯარიმის გარდახდა.

არ ვიცი, ვინ ვერ წარმოიდგენს რომ ამდენი კაცი (ისიც რაჭველი რომელიც ძალიან უფთხილდება ყოველს მთავრობის წინააღმდეგს საქ-

მოიბრუნებს თავის თანშობილ ქეთილ ზნეობას.

დღევანდელს მისს შურიანობას აქვს საფუძველი: დღემდე, ვინც კი გაკეთებულა და გაბედნიერებულა იმერეთში, ყოველთვის თავის ქვეყნის მტერი ყოფილა და ყოფილა მტერი მითომ რომ ძლიერების სურვილი უსრულდება. რადგანც გარეშე მტრების პოლიტიკაში ძველად იყო ხალხის დაჩაგრვა, ამისათვის ისინი მისთანებს აძლიერებდნენ, რომელნიც უეჭველად თავის ხალხს მისდებოდნენ დასაჩაგრავთ; ეს შენიშნავს ხალხს და რასაკვირველია, სკდილობს, რომ არავინ ამაღლდეს მათდა საქირდელოთ, თორემ აბა დ-უმტკიცეთ თქვენ იმერლებს ის, რომ გაკეთებული და გაბედნიერებული კაცი არა თუ არას დაგაკლებს კიდევ მოგვხმარებათქო და მაშინ ნახეთ თუ იმათ კიდევ არ მოეხმარონ იმ საბედნიერო კაცს და არ მოუშართონ ხელი.

მეს) არ შესცდებოდა, თუ მთავრობის განკარგულების წინააღმდეგის ოტკას ხდას არ დაუწყებდა, მაგრამ, როგორც ყოველი ამტკიცებს, იმათ დღემდის ვერ გააგებინეს თუ ოტკის ხდა აღკრძალულია; ისინი ფიქრობდნენ, როდესაც ქვაბის ტენიები მოვლენ და ქვაბის თავებს დაგვიჭრიან, მასუკან ვერ გამოვხდით ოტკასო. ბევრი რამ შეიანიშნავე ამბები იყო ამ ოტკის თაობაზე რაქაში წარსულს ზაფხულში.

მ. შოთი, 4 იანვარს.

საკვირველია, რომ ქართულს და რუსულს გაზეთებში მუდამ ლაპარაკია მ. შოთის უფარვისობაზედ.— რაში დაინახეს შოთის უფარვისობა, არ ვიცი.

მრთი იძახის, რომ შოთში ბაყაყების მეტი არა არის, დღით და ღამით იმათი ყიყინი მცხოვრებლებს მოსვენებას არ აძლევენ, შოთის ადგილობა სულ ჭაობიანი არისო; კაცმა სამიოდე ვაშლი ან სხვა რაიმე ხილი რომ სჭამოსო, მაშინვე ციებ-ციხლებას მიიღებსო.— მრთის სიტყვით, ამბობენ, რომ შოთში ცხოვრება არ შეიძლებაო, რადგანაც აქ ვითომ ცუდი ჰავა იყვეს.

ვინც ამბებს ლაპარაკობს, ის დიდათ გასამტყუნებელი არ არის, მისთვის რომ მას გაუგონია ოთხის თუ ხუთი წლის წინეთ, რომ შოთში ხშირი არის ციებ-ციხლებო და ამ საფუძველით რაც შეუძლია ახლაც აგინებს, თვითონ კი გამოკვლევით არ იცის ახლა როგორია. ძაცის ყურები ბევრს რამეს გაიგონებს, მაგრამ ყველას არ ერწმუნებიან.

ვინც კი ყოფილა და ან არის ხან მოთვეით აქ—შოთში, ყველანი დამეთანხმებიან, რომ აქ ციებ-ციხლება ძლიერ ძვირია, ჭაობიანი ადგილები სულ თუ არა მომეტებული

დროთა ვითარებამ დაუტკიცა იმას, რომ ძნელია ვისმესი ნდობა და ამისათვის აღარავის ენდობა თავის თავის მეტს. აღარც სიყვარული სწამს და აღარც ნათესაობა-მეგობრობა, მოტყუების ეშინიან და გულს არ აძლევს ნებას თავისუფლად გათამაშებისას, თორემ აბა დაარწმუნეთ ის წინააღმდეგში და მაშინ ნახეთ თუ რა გრძობები გამოიჩინოს!... თავის ქვეყანაში ერთი ერთმანეთის ეშინიანთ, ერთმანეთს ვერ ენდობიან და ამ მიუხდობლობაში კვდებიან, მაგრამ გარეშე ქვეყნებში, სადაც არ მოვლიან სხვებისაგან მოტყუებას, იქ თვითონაც გულ-წრფელობენ და პატიოსნობაზედ თავს სდებენ.

მომავლისათვის ეს ხალხი ყველაზედ უფრო საიმედოა და პირველქაზრაკად საგულგებელი.

აკაკი (გაგრძელება იქნება)

ნაწილი მინც გაამზარეს, ბაყაყე-
ბის ყოყინი ისეთი აღარ არის ამ უ-
კანასკნელ დროში, და ჩემი აქ სამი
წლის მყოფობაში ჰევა ძლიერ გაუმ-
ჯობესდა; რასაკვირველია იმას კი
ვერ ვიტყვი, რომ კარგი, ძლიერ
მოსათმენი ჰევა იყვეს, მაგრამ წინან-
დელზედ დიდათ უკეთესი კი არის
და ციებ-ციხელებიანს ძლიერ ძვირად
ეხედვებ.— მუხებშიანი ადგილები თუ
მებატონეთა და თუ ქალაქის საზოგადო-
ლებით გამზარდა, რომლის შემდეგ
ისე გევა ერთი წელი, რომ ორჯერ
ვერ გაიგონებს კაცი ბაყაყების ყი-
ყინს და თუ გაიგონა, ისაც მოშო-
რებულ ადგილებზედ.

ამბობენ აგრეთვე, ვითომ მთავ-
რობას შოთთან ნავსადგურის ანუ
პორტის აშენების განზრახვა მიუ-
ტოვებია, და ინჯინერი უ. შარინ-
ცივი ხელის აღებას აპირებს მუშაო-
ბაზე; სოხუმშიდან აპირებენ რკი-
ნის გზის გამოყვანას, რომელიც
უთუოდ ხონზე და ქუთაისზე გა-
მოივლის. (ხონს არაოდეს არ ე-
ღირსება რკინის გზა და ქუთაისს არ
ვიცი). რადგან რკინის გზა გაკეთ-
დება სოხუმშიდის, პორტიც, უქ-
ველია, იქ აშენდება!

მე თვითონ ინჯინერებისაგან ნამ-
დელიათ გამიგია, რომ შოთში უსა-
თუოდ, გინდ შეიდი მილიონი მა-
ნეთი მოუნდეს, აშენდება, რადგან
მიუცილებელი საქროა არის აქ პორ-
ტი... სოხუმში თუ პორტი აშენდა
და რკინის გზა გაიყვანეს ტეკლათამ-
დის, როგორც ამბობენ და გზო-
მილიც არის, დარწმუნებული ბრძან-
დებოდეთ, რომ შოთს დიდი არაფერი
მოაკლდება. მართალია, რუსეთიდან
გამოსული საქონლები და მგზავრები,
აგრეთვე აქეთ მიმავალი რამოდენი-
მე ნაწილი კი აუარს გვერდს შოთს,
მაგრამ მაგიერად გარეთ ქვეყნიდან
გამოსული საქონლები და მგზავ-
რები ხომ არ აცილდება.

მართი სიტყვით, სოხუმი და შო-
თი ერთმანერთს ვერას დააკლებენ.
ღმერთმან ინებოს, რომ სოხუმში
პორტი აშენდეს:—როგორც შოთ-
ში, იგრე იქ ძლიერ საქროა, თუ
კი ააშენებენ, მაგრამ, მადლობა
ღმერთს, შოთში კია დაწყებული
პორტის შენება და სოხუმში პორტის
აშენებას მთავრობა ჯერ-ჯერობით
სრულებით არ ფიქრობს და შემდ-
გომში რა იქნება, ჯერ ნამდვილად
არ ვიცი.

ამ დროში შოთი ჩინებული
ზღვის პირი ქალაქია; ეხლა რკინის
ხიდის გაკეთება რიონზე მოესწრო
და თქვენ უყურეთ, შემდეგ რო-
გორ გამოაქყეტს თვალს.

რკინის ხიდი გათავებული არის,
მხოლოდ კამისია უნდა დანიშნოს
და უნდა შეამოწმონ. ხიდი საქები
უფრო მით არის, რომ, როცა უნ-
დათ, შუაზედ გახსნიან მაშინებით
და პარახოდებს გაიყვანებენ და ისე
დაკეტენ.

3. ქუთათელადე.

რუსეთი

✱ ს. პეტერბურლის ტენიკურმა საზოგადოებამ გამოსცა ამას წინათ

წლიური ანგარიში, რომლიდამაც
ეტყობულობთ, რომ ამ საზოგადოე-
ბას, სხვათა შორის, დიდი ყურად-
ღება ტენიკური განათლების გე-
რცელებისათვის მიუქცევია; იმას გა-
უმართავს ექვსი სახელოსნო (ტენ-
ნიკური) შკოლა სხვა და სხვა ქარ-
ხნებთან და ფაბრიკებთან, რომლე-
ბისათვისაც თუ თავის წევრებში და
თუ გარეშე პირებისაგან 12988 მან.
შეთურებია. შკოლებს გარდა საზო-
გადოებას ზოგიერთ წევრებს მუშა
ხალხისთვის საღამ-საღამოობით ლექ-
ციები გაუმართავთ, და ისეთს საგ-
ნებს არჩევენ, რომელიც ყოველ
მუშა კაცს თავის ხელში გამოადგე-
ბოდა.

✱ რუსული გზეთი „ბირჟა“
გეაცნობებს, რომ ოდესის დამოქ-
ნაში რალაკ ბევრი უწესობა მომ-
ხდარა და ამის თაობაზე გამოძიება
არის დანიშნული. სხვათა შორის, აღ-
მოჩენილა, რომ ოდესიდანამაჲ წინად
რამდონიმე თამბაქოთ გავსებული
ვაგონი გაუზახენათ პეტერბურლში,
მარამ ამ თამბაქოს პეტერბურლის
დამოქნამდი არ მიუწევია და კაცმა
არ იცის—სადარის მართა დამოქნის
ფასი თამბაქოსი 36,000 მანეთი იყო
თურმე.

✱ ოდესიდან იწერებიან, რომ
წიგნის ვაჭრობა იქ თან და თან
ერცვლდება და მატულობსო. მრთს
ვილაცას ამას წინათ ისეთი კიოსკი
გაუმართავს გაზეთებისა და საამო
საკითხავი წიგნების გასაყიდლად, რო-
გორც სამზღვარ გარეთ და განსა-
კუთრებით პარიჟში არისო.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი. შმთავრესი მიზეზი
სამინისტროს სამსახურიდან დათხოვ-
ნისა (კრიზისასა), როგორც ახლად
მოსული გაზეთიდან აღმოჩნდა, შემ-
დეგი გარემოება ყოფილა: იმ დღეს
ნაციონალურ პრებაში მაკ-მაჰონის
ეპისტოლე წაუკითხავთ, რომელშიაც
თხოვლობდა, რომ ქრებას ჯენ კონ-
სტიტუციური კანონები განეხილა და
რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლება
და მოვალეობა განესაზღვრა; ამ აზ-
რის თანხმანი იყვენენ, რასაკვირველია
მინისტრებიც.

მაგრამ ქრებას, დეპუტატის ლაბუ-
ლეს წინადადებით, გადაუწყვიტია
რომ ჯერ მეორე პალატის დაწესება-
ზე უნდა იქნეს სჯა და მერე რიგით
კონსტიტუციურ კანონებზეო. ამაზე
კენჭის ყრა მომხდარა და მომეტე-
ბულ ნაწილს მმართველობის საწინაა-
ღმდეგო წინადადების მხარე დაუქე-
რიათ. ამის შემდეგ სამინისტროს დარ-
ჩენა აღარ შეეძლო და ყველა მინი-
სტრებმა დათხოვნის ქალაღი შეი-
ტანეს მაკ-მაჰონთან. მაგრამ მაკ-მაჰ-
ონის უკანასკნელ იმედს, გერცოგ
ბროჰლის, რომელსაც იმან, სხვათა
შორის, ახალი სამინისტროს შედგე-
ნა სთხოვა, უარი უთქვამს, რომ სა-
ნამ კონსტიტუციურ კანონებს არ
განიხილავს პალატა, მანამ სამინის-
ტროს შედგენას ვერ ეიკისრებო, რად-

გან ამ ახალ სამინისტროს ბევრი მო-
წინააღმდეგე ეყოლება პალატაში და
დიდი ხნის სიცოცხლე არ ექნებაო.

მსპანი. მტყობა, რომ ღონ-პო-
ჭონსის დაბრუნებისა თანავე მსპანის
პატრებს და საზოგადოთ კლერიკა-
ლურ პარტიას ნეტარი დრო დაუგე-
ბა. სხვათა შორის, ეს იუსტიციის ახა-
ლი მინისტრის ცირკულარიდამაც სჩანს
რომელშიაც ის ეუბნება სამლედე-
ლოებს, რომ ამ უკანასკნელ ექვსი
წლის განმავლობაში თქვენ ბევრი
უსამართლო და შევიწროება მოგა-
ყენესთ; მაგრამ ახლა, ახალი წესის
დადგენა შემდეგ (ე. ი. ღონ-პო-
ჭონსის გამეფების შემდეგ), მმართვე-
ლობა ეცდება, ყველა თქვენი წყლუ-
ლი განგიკურნოსთ და რაც დაგი-
კარგავსთ, გიზღოსთო.

ქრონიკა

საპართვალოს ისტორიის სურა-
თვაი

შესავალი

ამ უკანასკნელ დროს მე შემხე-
და ერთი ფრანკოული წიგნი, რო-
მელიც ისე მიმაჩნია ყურადღების ღირ-
სად, რომ ეალად ვრაცხ ჩენს მკით-
ხველ საზოგადოებას გეაცნო.

ამ წიგნის სათაური არის: „შენიშ-
ვნები ახლანდელ არეულობაზედ,
სპარსეთში და საქართველოში“ —
(Essai sur les troubles [actuels de
Perse et de Géorgie]). დაწერილია ეს
წიგნი წარსულ საუკუნეში 1753 წ.
და დაბეჭდილია პარიჟში შემდგომ
წელიწადში, 1754 წ., ლუდოვიკო
XV მეფობის დროს. ამ წიგნის ავ-
ტორი არ აცხედებს თავის სახელისა
და გვარს, მხოლოდ წიგნზედ აწერია,
რომ დამწერი არის: M. de P*** ასე
რომ ამ ავტორის ვინაობა არა ჰსჩანს.

ავტორი უძღვნის თავის წიგნს ე-
ლაცა ინგლისელ ვაჭარს სახელად
ჰანეის (Hanway), სპარსეთის აღრე-
ულობის ისტორიის ავტორს. წიგნის
პირველ გვერდზედ დაბეჭდილია ბა-
რათი ავტორისა ამ ინგლისელთან
რომელშიაც ავტორი, სხვათა შო-
რის, აცხადებს, რომ ამ ინგლისელს
ჰანეის დაუწერია ერცელი თხზუ-
ლება სპარსეთის ისტორიაზედ და ეს
ჩემი წიგნი უნდა შეიღობილად გაუხ-
დეს თქვენს წიგნსო და იმის დამა-
ტებად შეიქნეს, როგორც მცირე ხე-
ვის წყალი, რომელიც დიდ მდინარეს
ერთვისო.

უფრო საინტერესო, უფრო ღირსი
ყურადღებისა, მეტადრე ჩვენთვის
ახლანდელ დროს, არის ავტორის
წინა სიტყვაობა, საიდანაც ჩვენ პირ-
ველად ვტყობილობთ იმ უაღრეს
ყურადღებას მეროპის ქვეყნებისას,
რომელიც იყო მიქცეული წარსულ
საუკუნეში საქართველოზედ.

ავტორი იმითი იწყებს თავის წი-
ნასიტყვაობას, რომ — „ორნაირად
შეიძლება კაცი ემსახუროს თავის
მოძმებსაო: ჯერ იმითი, რომ სწო-
რე აზრები გადასცეს, და კიდევ იმი-
თიც, რომ ცრუ აზრები განუბნისო.
„მე მინდა გამოვიყვანო საზოგადოე-


ბა იმ შემცდარ ცნობებიდან, რომ-
მელსაც კარგა ხანია წყნეფეფე უწყ-
ბობენ სპარსეთის დეჰანდურდურდურს
ყოფაცხოვრებაზედ; და გარდა ამისა,
მინდა გეაცნო მკითხველ საზოგადე-
ბას ახლანდელი მდგომარეობა ამ ორი
ქვეყნისაო“.

აქ საჭიროთ ვრაცხ შენიშნო,
რომ მართლათაც თავის წიგნი ავ-
ტორი ახსენებს ერთს ვახეთს, რო-
მელსაც თავის მკითხველთათვის ერ-
თი ამბავი უცნობია საქართველოს
მაშინდელ ყოფაცხოვრებიდან. (გვერ-
დი 102).—1749წ. სპარსეთის ხელმ-
წიფე ადილ-შაჰი, რომელსაც გამე-
ფობამდინ ალი-შული-ხანი რქმევია—
ეომებოდა თავის ძმას იბრაჰიმ-ხანს
და იმის შემწეს ამირ-ასლან-ხანსა.
იბრაჰიმ-ხანი სპარსეთის ტახტს იჩე-
მებდა და ადილ-შაჰისათვის უნდა წა-
ერთმია. როდესაც ამ ომში ადილ-
შაჰს საქმე ძალიან გაუჭირდა და რა-
კი იმედი დაჰკარგა გამარჯვებისა,
ორი ელჩი გავზახენა—ერთი მეფე
თემურაზთან და მეორე—მეფე მრე-
კლესთან. ამ ელჩებს სხვა და სხვა
საჩუქრები და ძვირფასი სამკაულები
გამოატანა და მათ შორის გამოუგ-
ზახენა მეფე მრეკლეს სპარსეთის სა-
ტახტო გვირგვინი და მეფური სამო-
სები. ეს ამბავი დაბეჭდათ—ავტო-
რის სიტყვით—პარიჟის გაზეთში 1749
წ. ენკენისთეში.

ახლა ისევე ავტორის წინასიტყვაო-
ბასთან გადვიდეთ.

ავტორი სპარსეთზედ და იმის აღ-
რეულობაზედ და უწესობაზედ ამ-
ბობს, რომ სპარსეთი ყოველად ღირ-
სია მეროპის ყურადღებისა, რადგა-
ნაც აქამომდე მეროპის ქვეყნებს
ჰქონდათ სპარსეთთან ვაჭრობა და
მეროპას დიდი სარგებლობა გამოჰ-
ქონდა სპარსეთის აღებმიცემობიდან
და წარმოებიდანაო. ასრეც რომ არ
იყოს, ისიც უნდა შეენიშნოთო, რომ
თუმცა მეფე მრეკლე კარგა დაშო-
რებულია სპარსეთის ტახტზედა, რო-
მელსაც იმას აძლევნო, მაგრამ მა-
ინც ეს დიდი და სახელოვანი მეფე
ყოველად ღირსია დიდის ყურადღები-
სა და არა მართა რომანებში გმი-
რად გამოყვანისა, რომელიც რომა-
ნები იმაზედ დაწერილი თითქმის ყო-
ველ დღე გამოდის თითქო სამკედ-
ლოდამაო“ (Il est assez grand Prin-
ce pour mériter de n'être pas le
héros des romans qu'on forge tous
les jours).

აქაც უნდა მოვიყვანოთ ერთი შე-
სანიშნავი ადგილი ავტორის წიგნი-
დან. ავტორი მოგვითხრობს თავისი
წიგნის 81 გვერდზედ ამბავს თემურ-
რაზ მეფისა და სპარსეთის შაჰის თა-
მაზ-შული-ხანის ერთმანერთთან უსია-
მოვნობისას და ამბობს რომ ამ უთან-
ხმოების დამწერებელი და მშვიდო-
ბიანობის დამწერველი იყო მეფულე
თემურაზისა, დედოფალი ღარჯან.
მთხოვთ მკითხველთა ყურადღება
მიექციონ ამ მშვენიერს და შესანიშ-
ნავს სიტყვებს ავტორისას: „ეს ის
ღარჯანი, იყო რომლისაგანაც მიეცა
თემურაზს—მრეკლე, ის მეფე მრე-
კლე, რომლის ბედზედ და უბედობა-
ზედ ამ ჟამად არის მიქცეული ყუ-



რადღებდა მეროპისა, ის გმირი, რომელიც იშვა თავის სამშობლო ქვეყნისა და თავის წინაპართ და მშობელთა გასაბრწყინებლად. (C'est elle qui lui a donné Heraelius, ce Prince dont la destinée occupe aujourd'hui l'Europe, ce héros né pour illustrer sa patrie et les parents qui lui ont donné le jour*).

აეტარის წინასიტყვაობიდან და თვით იმის წიგნიდან ცხადად ჩანს, რომ მეთვრამეტე საუკუნეში, ამ ასის წლის წინეთ, როდესაც ჩვენი მეფეები გმირულად ებრძოდნენ აუარებელ მტერს, მეტადრე მეფე მრეკლეს დროს, მეროპის ქვეყნებს ისეთი ყურადღება ჰქონია მიქცეული ჩვენს საქართველოზედ, რომ გაზეთები აცნობებდნენ საზოგადოებას ჩვენზედ სხვა და სხვა ამბავს და მთხვევლები სწერდნენ რომანებს, სადაც გმირად გამოჰყავდათ ჩვენი დიდი მეფე მრეკლე II. ჩვენს ქვეყანას ჰქონია თავისი დიდი დრონი და როგორც ჰსჩანს, მეროპის ქვეყნები მოელოდნენ საქართველოსაგან დიდს მყოზადსა.

რასაც მე ვაპირებ მოთხრობას ამ ჩემს წიგნში — განაგრძობს აეტორი — იქნება იმაზედ ზოგიერთი მკითხველი ექვში შევიდეს და არ შენდოს, რაშიმე. მაგრამ მე იმედი მაქვს მკითხველები დავაჯერო ჯერ იმით, რომ რასაც ახალს რასმე მოუთხრობ, ყოველი ჩემი სიტყვა იქნება დამყარებული ყოველად სარწმუნო აეტორიტეტებზედ და გარდა ამისა მე იმიტომაც უნდა დამიჯეროთ, რომ ამ წიგნს ვაღებ ისრეთს ქალაქში, რომელსაც დიდი კავშირი აქვს სპარსეთთან და საქართველოსთან (როგორც წიგნიდან სჩანს, სმიონში უნდა დაეწეროს აეტორს თავისი წიგნი, თუმცა ბეჯითად არ აცხადებს) და მე თითონაც დაახლოებული ვარ ვაჭრებთან, რომელთაც დახშირებული მისვლა-მოსვლა აქვთ ამ ქვეყნებში და საფუძვლიანათაც აქვთ შეტყობილი იმათი გარემოება; აგრეთვე მე ცნობა მაქვს ოსმალთს დიდ-კაცებთან, რომელნიც ყოველთვის თვალს ადევნებენ ამ ორ ქვეყანას და ამასთანავე ამ წიგნსა ვსწერ

ერთის სანდა პირის თვალწინ და იმის შენიშვნების მიხედვით. ამ კაცს ყოველთვის მიწერ-მოწერა აქვს იმ ქვეყნებში მყოფთ მისიონერებთან, რომელნიც ძალიან განათლებულნი არიან და შეუძლიანთ სწორედ და სარწმუნო ცნობების შეტყობა, ერთის სიტყვით — ამბობს აეტორი — რასაც მე მოგიხრობთ დღეს თუ ხვალ გამოჩნდება ჩემი მოთხრობის სიმართლე.

ამ რიგად — აეტორი წიგნისა როგორც იმის წინასიტყვაობიდან სჩანს და თვით იმისი მოთხრობა ამტკიცებს, ყოველად ღირსია ნდობისა მეტადრე იმიტომ, რომ თავის წიგნში ყოველად სენიდიისიანად მოგვითხრობს ყოველისფერს და ზოგჯერ, რაც ბეჯითად არ იცის, პირდაპირ ამბობს. მაგალითად, ამა და ამ მეფეს სამი შვილი ჰყავდათ, პირველს ეს სახელი ერქვათ, მეორეს ესაო და მესამეს სახელი ნამდვილად არ ვიცით. აგრეთვე, როდესაც ამბავს მოგვითხრობს რასმე ხან და ხან ამბობს, რომ ესა და ეს ამბავი ჩემგან მოყვანილი ნამდვილია, თუ არაო, ბეჯითად ვერას ვიტყვიო, რადგანაც ყრუთ გაგონილი მაქვსო; ზოგჯერ პირდაპირ აცხადებს, რომ ესა და ეს ამბავი მე არა მაქვს გაგონილი და ამა და ამა აეტორის სიტყვით მოგითხრობთო (მაგალითად, ინგლისელი აეტორის ჰანეის სიტყვით მოჰყავს ორიოდ ქონობა სპარსეთზედ).

ბოლოს აეტორი ამბობს, რომ იმისი უმთავრესი საგანი და წიგნის უპირველესი მიზანი არის მეფეთა ოქმიურაზისა და მრეკლეს — ახლა საქართველოს მფლობელია — გამოხატვა და იმათის შთამომავლობის ახსნა. თუმცა ჩრავალს აეტორს უწერიათ საქართველოს სხვა და სხვა მეფეებზედ, მაგრამ იმათი ერთმანეთთან დამოკიდულება და შთამომავლობა როგორ არაის აუხსნიაო. — მის ორი მეფე — თეიმურაზ და მრეკლე — პირველი მოქმედნი პირნი არიან ახლა იმ ქვეყნებში, რომლის აღწერა მოვიწოდებო და იმიტომ რასაც მე ვილაპარაკებ — მხოლოდ იმისათვის ვილაპარაკებ, რომ ბოლოს ამ ორ

მეფედინ მივიდეთ და გამოვხატო ისინი.

ამის აღსრულება იქნება, ეგონებ, უმთავრესი ღირსება ამ ჩემის მცირედის წიგნისა.

ამით ათავებს აეტორი თავის მშვიდნიერს წინასიტყვაობას.

ნ.ე. შიფანი.

ნარევი

შრანცულენაზე ერთი წიგნი გამოვიდა ამას წინათ, რომლიდანაც ცხადათ ვხედავთ — თუ რაზედ იხარჯება ოსმალეთში იმდენი ფული და რატომ აქვს ამ სახელმწიფოს იმდენი ვალი:

აბდულ-აზიზ სულთანს ოთხი ცოლი ჰყავს და ხუთი ხასა, ერთი დაეძქის ვაჟი და ერთი ქალი. ამას გარდა 14 ძმის წული და სხვა უანგარიშო შორეული და ახლობელი ნათესავები. შეგლა ამებს თითქმის უანგარიშოთ ეძლევათ სასახლიდამ ჯამაგირი და ყველანი განცხრობით ცხოვრობენ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ცოტა ქვემოთაც ნახეთ:

ხონტქარის სასახლეში ასი მზარეულია, სამასი მებღე, ხუთასი მეჯინიბე და კუჩერი, ექვსასი სკაპეცი (ვეფხუბი), ექვსასი ხელზე მოსამსახურე ბიჭი (ლაქია), ათასი გოგო. მიეჯარადრე პირობით არის შეკრული, რომ ყოველ-დღე ხონტქარის სასახლეში, სხვა ხორავს ღარდა, ათას ორასი ცხვარი უნდა წარადგინოს და ორი ათასი ქათამი.

მარტო სტამბოლში, ბოსფორის ნაპირას ხონტქარს სამი მშვენიერი მდიდრული სასახლე აქვს და სხვა ქვეყნებში და ქალაქებში კიდევ ოცი. ამას გარდა სასახლეში მუდამ რამდენიმე ტრუპაა თუ კამედიანტებისა, თუ მოთამაშე ქალებისა, თუ გოგა კაცებისა, თუ მასხარებისა და სხვა.

და ამ დროს, როცა ხონტქარი იმის ქვეშევრდომის ხარჯით ამისთანა განცხრობაში ცხოვრებს, ეს ქვეშევრდომები უკიდურეს სიღარიბეში და უმეტრებში რჩებიან.

* *

მლისავეტრადის ოლქის სასამართლოს განუთილავს ერთი ვილატ ტიბაშეგის საქმე, რომელსაც მამისთვის იმდენი ეცემა, რომ მოეკლა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ეს კაცი, მაგრამ დანაშაულობის შემამსუბუქებელი მიზეზებიც ნახა და ამის გამო მხოლოდ ორი წლით საპყრობილეში ჩამწყვედვა დაუტყა.

* *

მრთს რუსის გლეხს ამას წინათ, აბანო გაუხურებია, თავის ცოლი შეუყვანია, გაუშვილებია, ბოძზე მიუკრავს თმით და იმდენი უტყვია ჯობით, სანამ საწყალ დედაკაცს გულს არ წახვლია. მეგრე აბანო და

უკეთია და მიუტყვებია. მს ამბავი სოფელში გაფარდნილა, ვილატ მადლიანო ჯამაგირილა და ცოცხალ-მკვდარი ცხადობდას კსტეპან ჯამაგირს. ამბობენ, ამ ამბავმა მთავრობამდი მიაწია და ახლა გამოძიება არის დანიშნულიო.

საკვარო

ინაერის 13-ს ძაგკასიის აქეთა მხრის პრიკაზში გაისყიდება ზემო-აეტალაში მდებარე ვენახი ქერივის ქაეტერინა დარჩინოვისა, იმ ვალში, რომელიც 1862 წელს აუღია (2000 მანეთი) პრიკაზიდან. სამი დღის შემდეგ ხელმეორედ ვაჭრობა იქნება.

1 (3) 15.

ბაქოს პორტის კამანდირი გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ შეშის დაღმა 1875 წლისათვის 379 საყენი მუხის ხისა, რომლიდანაც 229 საყენი ბაქოს პორტში ბაილოვში და 150 საყენი ძრანოვოდსკიში; ამას გარდა 2100 საყენი რთხმელის ხის შეშა უნდა დაიდგას აგრეთვე ბაქოს პორტში. ვაჭრობა დანიშნულია ბაქოში 21 იანვარს და 25-ს ხელმეორედ ვაჭრობა იქნება. შფრო დაწერილებითი პირობების შეტყობა ბაქოს პორტის სამმართველოში შეიძლება.

1 (3) 16

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

აეთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათადამ ვიდრე 1 საათამდე

მ. რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიის, პარყნიკი — ემაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავთამყოფებისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: პარყნიკი — ემაწვი, ქალებისა და ვენერიული ავთამყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: პარყნიკი ემაწვი, ქალებისა და ვენერიული ავთამყოფობისა. მარკაროვი და ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

პ არ ტ ს კ ე ვ ს: მინკევიჩი — ხირურგიისა, პარყნიკი — ემაწვი, ქალებს და ვენერ. ავთამყოფ., ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მარკაროვი და ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

რ.ბ.ზ.ა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.		საჯ.
	მ.	წ.	მ.	წ.	მ.	წ.	მ.	წ.	
თფილისი	8	18	8	17					
მცხეთა	9	18	10						
ბორი	11	39	143		68	38			
სურამი	1	52	430		40	23			
ბეჟათუბანი	3	45			92	18			
შვირილა	6	49			42	46			
მთიანისი	7	55			51	23			
სამტრედია	9	2			67	37			
ახ.-სენაკი	10				73	429			
შოთი	11				85	476			
					97	542			
შოთი	7	38							
ახ.-სენაკი	9	11			118	66			
სამტრედია	10	12			2	614			
მთიანისი	11	17			3	4169			
შვირილა	12	38			3	9821			
ბეჟათუბანი	3	27			5	33296			
სურამი	4	57			5	84324			
ბორი	7	23			3	317364			
მცხეთა	9	52			9	854			
თფილისი	10	49			8	2975542			

საქსლის გეგმები		შოთი		ბირჟა		მაზანდა	
ა) შოთიდან:	ბ) სოხუმიდან:	ა) თფილისიდან:	ბ) შოთიდან:	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
მდისიკენ — ხუთშაბ. საღ. 6 საათ.	შოთს — ოთხშაბათს, დამით.	სამზღვარ გარეთ, მთათისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., მსურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქაბეთს — სამშ. და შაბ.	შოთს — ოთხშაბათს, დამით.	პეტერბურგი, 3 იანვარს.	მთილისი, 8 იანვარს.		
მდესას — პარასკევს, გათენებისას	შოთს — ოთხშაბათს, დამით.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	შოთს — ოთხშაბათს, დამით.	ერთი მანეთი ღირს: ლონდონში 33 1/2 პენსი. პარიჟში 349 სანტიმი. მსკონტი(სარგებლობისთვის) ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
შოთიდან: I II III	შოთიდან: I II III	ბ) შოთიდან:	შოთიდან: I II III	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
სოხუმიდან: 4 3 1	სოხუმიდან: 4 3 1	ბ) შოთიდან:	სოხუმიდან: 4 3 1	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
მერამდი: 20 50 15 50 5	მერამდი: 20 50 15 50 5	ბ) შოთიდან:	მერამდი: 20 50 15 50 5	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
ტაგანროგ: 34 27 860	ტაგანროგ: 34 27 860	ბ) შოთიდან:	ტაგანროგ: 34 27 860	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
მდესასადი: 38 30 960	მდესასადი: 38 30 960	ბ) შოთიდან:	მდესასადი: 38 30 960	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
ტელეგრაფი	ტელეგრაფი	ბ) შოთიდან:	ტელეგრაფი	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
მცი სიტყვა თფილისიდან:	მცი სიტყვა თფილისიდან:	ბ) შოთიდან:	მცი სიტყვა თფილისიდან:	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
მთიანის, შოთს	მთიანის, შოთს	ბ) შოთიდან:	მთიანის, შოთს	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
ბორს, ლუშეთს, სიღნახს	ბორს, ლუშეთს, სიღნახს	ბ) შოთიდან:	ბორს, ლუშეთს, სიღნახს	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
როსტოვს მდესას მოსკოვს	როსტოვს მდესას მოსკოვს	ბ) შოთიდან:	როსტოვს მდესას მოსკოვს	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
პეტერბურგს, პარშავას	პეტერბურგს, პარშავას	ბ) შოთიდან:	პეტერბურგს, პარშავას	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
მსპალეთში, შვეიცარიაში	მსპალეთში, შვეიცარიაში	ბ) შოთიდან:	მსპალეთში, შვეიცარიაში	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
იტალიაში და საფრანგეთში	იტალიაში და საფრანგეთში	ბ) შოთიდან:	იტალიაში და საფრანგეთში	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		
ინგლისში	ინგლისში	ბ) შოთიდან:	ინგლისში	ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი(პირველისესხი) მოგებიანი (მეორე სესხი) 196 — 199 —	პური შორაგალის ფთ. 110 — 60 — 5 — 655 — 8 — 40 — 640 — 4 — 260 — 420 — 560 — 1030 — 55 — 60 — 7 — 50 — 7 — 1950 — 6 — 90		